1877—1897

№ 26

შაბათი, 15 თებერვალი 1897 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 26

შაბათი, 15 თებერვალი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## „ივერია"

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაუგზავნებს გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი კვირეს და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თთვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თთვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

### ქართული თეატრი.

კვირას, 16 თებერვალს

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან საფაროვი-აბაშიძისა, აბაშიძის და გედევანოვის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა:

I

**მოგონილი დეიდა**

კომ. ფარს 3 მოქ. ტომასისა, თარგ. კ. შათირიშვილისა.

II

**არც აქეთ არც იქით**

ვოდ. 1 მოქ., ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთლისა, კუნდელი; ბ-ნნი: აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, თამაზოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

### მთავრობის განკარგულებანი.

—

სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა: ავადმყოფობისა გამო მილიციის პრაპორშჩიკი ალექსი ქაჯაია პენსიით, და საოჯახო მიზეზთა გამო მილიციის პრაპორშჩიკი ალექსანდრე ღლონტი.

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენ მივიღეთ ქართველთა ამხანაგობის მიერ გამოცემული პაწია წიგნაკად „დასტურ-ლამა, მოხსენებანი სამთავროთა წესდებულებათანი და განკარგვანი მფლობელობათათვის", თხზულება ნიკოლოზ დადიანისა, სამეგრელოს მთავრის ლევან გრიგოლის ძის დადიანის სარდალ-მსაჯულთ-უხუცესისა. ამ წიგნაკს, 1818 წ. დაწერილს, წინ უძღვის პაწია წინასიტყვაობა ბ-ნის ი. მეუნარგიასი. წიგნაკი შეიცავს 40 გვერდს და ღირს 25 კაპ.

*** ჩვენ გვწერენ ახალციხიდგან, რომ იქ, ამ მოკლეს დროში, ნეკრესის ქარებისაგან ავად გამხდარა ყველასაგან დიდათ პატივცემული ქართველ კათოლიკების მხნე მოღვაწე და მწერალ-მოძღვარი მღვდელი ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი).

*** მიწად-მოქმედების მინისტრის ნება-დართვით, ახალ-ქალაქის მაზრაში გარდასახადთა ინსპექტორი აგრონომი ლუკასოვი იმ აზრით, რომ მაზრის მცხოვრებლებმა ბალახის გონივრულად მოშენება ისწავლონ, სოფელ დილისკს, არაგვს, ბარალეთს, ალასტინს, სათხეს, გორელოვკას, არლოვკასა, ეშტსა, კარძალსა და ვალიანში სამაგალითო მინდვრების გამართვას აპირებს თურმე, საცა მსურველთ შეეძლებათ ბალახის თესვა მოვლა ისწავლონ.

*** 7 იანვარს 1895 წ. მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა სთხოვა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას, რათა ამ უკანასკნელს განეხილა ზოგიერთი საგანი კავკასიაში მეურნეობის გაუმჯობესობის შესახებ და თავისი დასკვნა წარედგინა სასოფლო სამეურნეო დეპარტამენტისათვის. რადგანაც სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ჯერაც არ განუხილავს ეს საგნები, მინისტრის ბრძანებით მეურნეობის დეპარტამენტმა ხელ-ახლა სთხოვა საზოგადოებას, რაც შეიძლება ჩქარა წარმოგვიდგინეთ თქვენი აზრი ხსენებულის საგნების შესახებო.

სასურველია, რომ სამეურნეო საზოგადოება გულ-მოდგინედ შეუდგეს ამ საქმეს და რაც შეიძლება დაწვრილებითი ცნობები გაუგზავნოს სამინისტროს, რათა ამ უკანასკნელს შეეძლოს შესაფერ ღონისძიებათა მიღება ჩვენის ქვეყნის მეურნეობის გაუმჯობესობისათვის.

*** რადგანაც ბესარაბიის გუბერნიის საბჭოს მოუსურვებია სამეურნეო იარაღის საწყობის გაუქმება, ამ საბჭოს წევრთ მიჰმართეს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვენ, თქვეს შეისყიდეთ დარჩენილი 50 ვერმორელის ვენახების სასხურებელი მანქანა, რომელიც დაეთმობა საზოგადოებას იმ ფასად, რა ფასადაც თითონ დასჯდომია, სახელდობრ, თითო მანქანა 18 მანეთადაო.

*** გაზ. „ტიფ. ლისტ."-ის სიტყვით, თერგის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ-მაიორს გუნნიუსს ბრძანება გაუცია, რომ ჩრდილო კავკასიის საღი საქონლის და ცხვრის ჩამორეკა პატრონებსა დაუბრკოლებლად შეეძლოთ საქართველოში, მხოლოდ ამ საქონლის პატრონთ ბეითლებისაგან მოწმობა უნდა ჰქონდეთ მიცემული იმის შესახებ, რომ ეს საქონელი საღია და იმ ადგილებში, საიდამაც საქონელს მოერეკებიან, არავითარი საქონლის ჭირი არ არსებობსო. ამასთანავე, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის

## ფელეტონი

—

### მაგისი რა ბრალია?!

(დასასრული *).

II

შუაღამე ახლოვდებოდა... ცა ვარსკლავებით მოფენილიყო, მთვარე საკმაოდ ანათებდა და მშვენიერს სახეს აძლევდა სვანეთის მაღალსა და წვრილს კოშკებს. მდინარე ინგურს საშინელი ღრიალი გაჰქონდა და იმის ხმაურობას ბანს აძლევდნენ მთები. თოვლით შემოსილი ვიშბა, მთვარის შუქით განსპეტაკებული, მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა და დარაჯსავით ამაყად გადმოჰყურებდა იქაურობას. სიჩუმე ჰმეფობდა... ახლო-მახლო ტყეებში პირუტყვთ და ფრინველთ თითქოს შეეწყვიტათ მოძრაობა, მხოლოდ ხანდახან შორიდგან მოისმოდა რაღაც ხმაურობა.

სოფელ მ—ს ჯერ კიდევ არ ეძინა და მხიარულებდა; ყოველ სახლიდგან გამოისმოდა ცეკვა სიმღერის ხმა. ეტყობოდა—დღეობა ჰქონდათ.

*) იხ. „ივერია", №№ 24 და 25.

სოფლის განაპირას იდგა ერთი ლამაზი კოშკიანი სახლი; გარს მოდიდო ეზო ჰქონდა შემორტყმული და შიგ სხვა-და-სხვა ხეხილები იდგა. ეზოს ერთს კუთხეში სახლის მახლობლად კანაფი ეთესა და გარშემო წკნელით იყო შემოვლებული, რომ საქონელს არ დაეზიანებინა. მეორე კუთხეში მოდიდო „ლალჩშა" *) იდგა. ლალჩშას წინ მოდიდო კალო გაჰიმულიყო. ამის მოშორებით წკნელით შემოღობილი ადგილი იყო, რომელშიაც საქონელი ბინადრობდა ზაფხულობით.

ყოველ სახლიდგან ცეკვა-სიმღერისა, ხარხარისა და ოხუნჯობის ხმაურობა გამოისმოდა და მთელს სოფელს ეფინებოდა, მაგრამ ყველაზედ უფრო მხიარულება სოფელში ამ სახლის მკვიდრთ ეტყობოდათ. ქალების დალაგებული სიმღერა ჰაერს აპობდა და უფრო შნოს აძლევდა მომხიარულეთ. ახლო-მახლო მთები და ლამაზი კოშკები ბანს აძლევდნენ, თითქოს იმათთან ერთად ესენიცა მხიარულობენ და ჰსიამოვნობენო.

*) ხის სამკუთხიანი შენობა, რომელსაც მეოთხე მხარე ღია აქვს და რომელშიაც ნამუშევარს ინახავენ.

ამ დროს, სწორედ იმ ადგილას, სადაც „ლალჩშა" იდგა, ყორეზედ გამოჩნდა კაცის ჩრდილი, რომელიც სწრაფად ჩამოხტა და ამ შენობას მოეფარა. მთვარიანი ღამე იყო და უცნობი, როგორც ეტყობოდა, ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო: ამიტომ ხან კედელს მიეკვრებოდა, ხან წამოჯდებოდა და ხან ერთს ადგილიდგან მეორეზედ გადადიოდა. კარგად რომ დაჰკვირებოდით, ადვილად იცნობდით ზურაბს. პატარა ხნის შემდეგ სახლის კარები გაიღო და ერთი კაცი ცალ მხარზედ ჭურჭელ-გადაკიდებული ზურაბისაკენ გაემართა.

— აქეთკენ მოდის, სთქვა თავისათვის ზურაბმა:—იქნება ის არის! რაც უნდა იყოს, იარაღი მზად უნდა ვიქონიო! თუ ის არის, მით უკეთესი!

თოფი იძრო, ჩახმახი ფეხზედ შეაყენა და მოიმარჯვა; მერმე სხვა იარაღი გაისინჯა და სული განაბა. ჭურჭელ-აკიდებული კაცი მღერით მიდიოდა და ისე გაიარა ზურაბის მახლობლად, რომ ერთიც არ მიუხედნია იმისაკენ. ცოტა რომ განშორდა, ზურაბმა წაიბუტბუტა:

— ის არ არის, სხვა ვიღაც არის, წყალზედ მიდის. სოქვა ეს და უფრო მიეკრა შენობის კედელსა. პატარა ხნის შემდეგ წყალზედ მიმავალი კაცი დაბრუნდა და ისევე მღერით შევიდა სახლში.

— კარგია, რომ ვერ შემამჩნიაო, სთქვა თავისათვის ზურაბმა: მაგრამ ეხლა-კი დროა, ჩემის განზრახვის აღსრულებას შევუდგე. მერე დაიჩოქა, ქუდი მოიხადა და წარმოსთქვა:

— მაღალო ღმერთო! მთავარ ანგელოზო! წმიდაო გიორგი! თქვენა ხართ მოწმე, რომ დედაშვილი ამ კაცის მიზეზით დავღუპე და ცოდვა ავიკიდე; აი ეხლაც მისი მოკვლა განვიზრახე, რადგან პატარა ბავშვის სისხლი არ მასვენებს და სულ თვალთ წინ მიდგა. თქვენა ხართ მოწმე ჩემის სულიერის ტანჯვისა... თქვენ შემინდეთ მე ცოდვილსა!..

მერე სწრაფად წამოხტა, წადგა წინ, ხანჯალი მოიმარჯვა და სხვა ხმით დაიძახა:

— თენგიზ, ოო თენგიზ! ქაახსგი აშხვრაკილდაშ! (თენგიზ, თენგიზ! გამოიხედე ერთს წამს!). რადგან სახლში ხმაურობა იყო, ამიტომ რამდენჯერმე უნდა გაემეორებინა თავისი ძახილი, რომ გაეგონებინა ვისთვისმე. ბოლოს დერეფანზედ გადმოდგა ვიღაც ქალი და ჰკითხა:

— იარ ხი? სგა იმღა დოომ ხედნი? (ვინა ხარ? რატომ არ შემობრძანდებით?).

— თათარყან ხვი, ხმის გამოცვლით იტყუა უცნობმა: თენგიზი ლიწედ მაკუ, შევარ ძღვდ გვეშ მიწვივ ი ქაანხეს: (თათარყანი ვარ, თენგიზის ნახვა მსურს, ძალიან დიდი საქმე მაქვს და გამოვიდეს!).

— ძალიან კარგი, მაგრამ რატომ არ შემობრძანდებით?—წაიბუტბუტა ქალმა და შეაღო კარები. პატარა ხნის შემდეგ იმავე დერეფანზედ გამოჩნდა მაღალის ტანის, მოსული ყმაწვილი კაცი და დაიძახა:

— ხოჩალეეთ? მუშგვრი ღერთაშლი ისგა იმღა დოომ ხედნი? (ღამე მშვიდობისა! სტუმარი ღვთისაა და რატომ არ შემოხვალთ?) ამ სიტყვებზედ ყმაწვილი კაცი დაეშვა დერეფნის კიბეზედ სტუმართან. ზურაბმა ამასობაში მოიმარჯვა ხანჯალი, ცოტა უკან დაიწია და „ლალჩშის" ჩრდილს მოეფარა; გულმა მალ-მალე დაუწყო ცემა და სახეზედ მკვდრის ფერმა გადაჰკრა. თენგიზი მიუახლოვდა და გაკვირვებით შეეკითხა:

— არაო თათარყანი ვარო? ზურაბი არა ხარ? რატომ არ შემოხვალ?

ბრძანებისა, ბ-ნ ოლქის უფროსს თერგის საზღვრებზედ ბეითალები დაუყენებია ღონისძიებათა მისაღებად, რომ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებიდგან საქონლის ჭირი თერგის ოლქში არ იქმნას გადატანილიო.

⁂ სოფ. ბოგვს, ტფილისის მაზრაში, შავი სახადი გაჩენილა და ამ სენით 2 თებერვლიდგან დღემდის 5 კაცი გამხდარა ავად.

⁂ გაზ. „ტფილ. ფურც.“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად, როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, ინიშნება სამსახურს გარეშე მყოფი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი მიკლაშევსკიო.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს ოზურგეთიდგან სწერენ, რომ აქ საერო წიგნთ-საცავის დაარსების საქმე უკვე მოაწყეს და ეხლა მთავრობას აქვს წარდგენილი დასამტკიცებლადაო. ხსენებული წიგნთ საცავი ქალაქის გამგეობის ერთ-ერთ ოთახში იქმნება მოთავსებული, რომლის მოსაწყობად სამი თუმანია გადადებული. წიგნთ-საცავს ოცის თუმნის წიგნი უკვე აქვს და ოცი თუმანიც ფული, კონცერტიდგან შემოსულიო. ამასთანავე კნ. ნინო დადიანისამ ხელის-მოწერა გაჰმართა და წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ფული იკრიბებაო.

ოზურგეთის მაზრაში ხალხის ჯანმრთელობის დამცველ კამიტეტს მაზრის მარშლის თავ. ს.დ. გუგუნავას თავმჯდომარეობით 4 თებერვალს კრება ჰქონია და დაუდგენია: ოზურგეთი გავყოთ 10 სასანიტარო უბნად და თითო უბანში თითო სასანიტარო მზრუნველი დავნიშნოთო. აგრეთვე მაზრის ყველა სოფლებიც სასანიტარო ნაწილებად დაუყვიათ.

კამიტეტს წეს-რიგი შეუდგენია, რომლითაც სასანიტარო მზრუნველებმა უნდა იხელმძღვანელონ და ამასთანვე მდაბიო ხალხისათვის საჭირო დარიგებანი გამოუცია.

⁂ სად. სუფსა: იანვარი ისე გავიდა, არც თოვლი და არც წვიმა არ გვინახავს, მაისივით მშვენიერი დარები იდგა. თებერვალში-კი ამინდი შეიცვალა და ხშირი თოვლი და წვიმა თავს გვაბეზრებს. ამის გამო აქაურს ქუჩებში ისეთი ტალახი სდგას, რომ კაცს დღისითაც უჭირს გავლა, თორემ ღამით ხომ თავ-მოძულებულის მეტი სახლიდგან ვერავინ გამოვა. ღამით, ორი მანეთი რომ აძლიოთ გლეხს და სთხოვოთ — ამა და ამ ადგილას გამეგზავნეო, რაც უნდა ღარიბი კაცი იყოს, უარს გეტყვის, რადგან დარწმუნებულია, რომ ტალახში ჩაიხრჩობა სადმე.

⁂ ბათუმის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ნავთ-სადგურის ელექტრონით განათება. ქალაქის მო-ურავმა მოახსენა საბჭოს რომ, როდესაც პეტერბურგში ვიყავი, ორ ფირმას მივმართე, რომელნიც განსაკუთრებით ელექტრონის განათების საქმეს კისრულობენო. ამასთანავე მან წარადგინა ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმები, რომელნიც იმ ფირმებისაგან მიეღო. საბჭო დასთანხმდა ბ-ნ ზროდლოვსკის აზრს, რომ „პოდობედოვის“ ფირმის წინადადება იქნას შეწყნარებული და მთავრობას იმდენი ფული ვთხოვოთ, რამდენიც ამ ფირმის ხარჯთ-აღრიცხვაშია ნაჩვენები: 116 ათასი მან. ერთ დროებითად და 18 ათასი მ. საქმის წარმოებისათვის.

⁂ კახეთი. როგორც ვიცით, ეს ორი წელიწადია, რაც კახეთში ღვინის მოსავალი ერთობ ნაკლები იყო. მოუსავლობის მიზეზი ზოგან სეტყვა იყო და ზოგანაც თითონ ვენახების პატრონთა დაუდევრობა. კახეთში ვენახს ობი და ნაცარი ანადგურებს. თუ გლეხებს არა, თავად-აზნაურთ მაინც შეძლება აქვთ ამ სენისაგან ვენახს უწამლონ, მაგრამ, როგორც ვხედავთ აქამდის ყურსაც არავინ იბერტყდა და ამის შემდეგ რას იზამენ — ვნახავთ.

როგორც გვატყობინებენ, გარდა ღვინისა, კახეთის ზოგიერთა სოფლებში პურიც ნაკლებად მოსულა თურმე. ეს სამი წელიწადია, რაც პურის მოსავალი თან-და-თან კლებულობს და ზოგან იმდენად მცირეა, რომ შიმშილმაც-კი იჩინა თავიო, იუწყება კორესპონდენტი. ბევრია ისეთი, რომელსაც ამ რამდენისამე წლის წინად ბეღელი პურით ჰქონდა სავსე და დღეს-კი თელავის ყანთარზე თითო-ოროლა ფუთ ფქვილს ჰყიდულობს თვეში, რომ როგორმე ცოლშვილი გამოჰკვებოსო. ვინ არ იცის, რომ ქიზიყი პურის მოსავლით მთელს საქართველოში გათქმულია, მაგრამ ადგილ-ადგილ იქაც პურის ნაკლებულებაა ამ ჟამადაო. გარდა ამისა, ზოგიერთს სოფელში ამ ბოლო დროს თურქულიც გაჩნდა და ბევრი საქონელი დაიხიაო. და ბოლოს კორესპონდენტი საფუძლიანად სჩივის, რომ კახეთში საერო სკოლები ნაკლებად იმართება და სამკითხველოების ხსენება ხომ არც ერთს სოფელში არ არისო.

⁂ ახალქალაქი: ადგილობრივმა მაზრის უფროსმა 9 თებერვალს ქალაქის რწმუნებულთა საზოგადო კრება დანიშნა, რომ ქალაქის ჯანმრთელობისათვის საჭირო ღონისძიებანი იქნას მიღებულიო. აქ არავითარს ყურადღებას არ აქცევენ ქალაქის სიბინძურეს: ჯერ ცოცხიც არ მიჰკარებია ჩვენს ქუჩებს, რომელიც სიბინძურით სავსეა და რომელსაც ღორები, ერთად-ერთი ჩვენი სანიტარები, აბუნაგებენ. ეხლა თითქოს გამოვფხიზლდით, სხვა ქალაქებსავით შევუდექით საქმეს. რწმუნებულთა კრებამ საჭიროდ სცნო ქალაქის გასუფთავება და გადასწყვიტა, დაევალოს სახლის პატრონებს ეზოების და კარ-მიდამოს სუფთად შენახვა და სხ. ვნახოთ, მოვახერხებთ ამას მაინც თუ არა?!

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს საბეითალო კამიტეტს სჯა ჰქონია იმის შესახებ, რომ ღონისძიებანი იქმნას მიღებული, რათა აქედგან, ამიერ-კავკასიიდგან, ჩრდილო კავკასიაში არ იქმნეს გადატანილი საქონლის ჭირი. ამ საგნის შესახებ კამიტეტს რამდენისამე ღონისძიების ხმარება უცვნია საჭიროდ. სხვათა შორის კამისიას დაუდგენია: ერთის მხრივ ყუბანისა და თერგის ოლქებისა და შავი ზღვის ნაპირა გუბერნიის და მეორეს მხრივ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებსა და დაღესტნის ოლქის შუა კარანტინი დაარსდეს. კამიტეტის მიერ დასახელებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად თურმე 100,000 მანეთამდის არის საჭირო.

⁂ როგორც გაზ. „ტიფ. ლისტ.“ ამბობს, ტფილისის აესორთა ეკლესიის წინამძღვარს — დეკანოზ გურგენიძეს კავკასიის რკინის გზის მმართველობისათვის უთხოვნია, რომ 431, 85 საჟენი მიწა ტფილისის სადგურის მახლობლად იჯარით მომეცით, საჟენი ერთ შაურად, სახლები მინდა ავაშენოო. რკინის გზის მმართველობამ თანხმობა გამოუცხადა, მაგრამ საბოლოოდ საქმის გადაწყვეტა სახელმწიფო რკინის გზების მთავარ-სამმართველოსაგან არის დამოკიდებულიო.

⁂ ხელ-მოკლე აზნაურის ოჯახის სასარგებლოდ მივიღეთ კიდევ ივანე ივანეს ძის ფიცხელაურისაგან 12 მან. აი ნუსხა ამ ფულის შემომწირველთა:

ი. ი. ფიცხელაური 2 მან., შ. ღ. კიკნაძე 1 მან., ი. მ. უშვერიძე 2 მან., ს. ი. ორჯოდოკი. 1 მან., გ. ქ. ნამგალაური. 1 მან., ს. გ. თათულოვი. 2 მან., დ. ა. ნადიბაიძე. 1 მან., ა. გ. დიდებაშვილი 1 მან., ი. ს. — შიოლი. 50 კაპ., გ. ტურიხი. 50 კაპ.

დარია მურზაყანის ასულ ფაღავასაგან 14 მან. ფულის შემომწირველნი: ჯორჯიკია ვერა, ა. ლორთქიფანიძისა, ელ. ზარათაშვილისა, მარინე ჩიკვაიძისა, ეკატერინე ჩიკვაიძისა, ზ. მიქელაძე, მერაბ გრიგოლია, ეზა დადიანი — თითო მან., გრიგოლი დადიანი 3 მან.. თვით შემკრებელმა დარია ფაღავამ 2 მანათი.

ალექსანდრე ლოლუასაგან — 5 მან. ამ ხელად მოსულია სულ 31 მან., წინანდელი გვქონდა 40 მან. 40 კაპ. ამითი შესდგა სულ 71 მან. 40 კაპ.,

⁂ ბ-ნი ფ. ჭიჭინაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას შეუდგენია ისტორიული წერილი — „გორელი პეტრი ტულუკაანთ დავითა და რომში ქართული წიგნების ბეჭდვა 1733—1797 წლებამდის“. ამ აღწერაში ადგილი აქვს დათმობილი შემდეგ აღწერათა, პაპის „პროპაგანდო ფიდეში“ ქართული ენის კათედრის დაარსება, ქართულის ენას პროფესორები და გორელ პეტრ დავითას გარდა კიდევ ტფილისელი იოანე ყიგოხანთი და ახალციხელი მღვდელი გრიგოლ ზალანანთი, რომელიც პაპას „პროპაგანდოში“ ქართულის ენის მთარგმნელად და მასწავლებლად ყოფილა. ეს მოხსენებულ გვამთა ცხოვრების შესახებ ცნობები თუ ვისმე მოეპოვებათ, უფასოთ დამითმონ დროებითაო. გამოგზავნა შეიძლება ქართულ გამოცემათა ყველა რედაქციაში.

## თეატრის მატიანე

ბენეფისი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.

ამ შინაარსიდგან დარწმუნდით*), რომ „უპატიოსნონი არ იბადებიან“-ის არაკად ერთი ისეთი ამბავი აქვს აღებული ავტორს, რომელიც დიდი ხანია ცნობილი და ბევრჯელ აწერილი. ასეთი ამბავი არ-ახალია — ძველია, მაგრამ არც ისეთი ადვილი მოსაძებნია ახალი არაკი, რომ ამისათვის ჯეროლამო მორრეტის ეკიცხებოდეს რამე. აქ ჩვენი განსასჯელი ის-კი არ არის, რატომ ახალი ვითარება ცხოვრებისა არ მოსძებნა ავტორმაო, არამედ ის, რა მხრივ მიანათა შუქი თავისის შემოქმედობისა ამ არაკს, რამდენად ხელოვნებით აღწერა იგი, როგორ დაახასიათა თვისნი მომქმედნი და, დასასრულ, რა გვამცნო თავისის ნაწარმოებით.

მომქმედთა დახასიათების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთი მომქმედი არ არის ისე დახასიათებული, რომ ყოველი მისი მოქმედება ერთმანერთის შესაფერი იყოს, ერთმანერთს არა ჰღალატობდეს. ამ მხრივ ისევ მთელი სახეა ორლანდო-ორლანდი, ელიზას მამა, ეს ცრუ, ფუქ-

*) იხ. „ივერია“, № 25.

---

— ზურაბი ვარ და ვიქნები, შენ-კი თენგიზობას მალე დაჰკარგავ! სადაც იქნებოდა, მაინც უნდა მომეკალი! აჰა, ეს შენ, ძაღლო! — სთქვა ზურაბმა და ისე მარდად ჩასცა ბასრი ხანჯალი გულში, რომ ტარამდის გაიარა. საწყალმა „მიშველეთ“-ის დაძახება-ღა მოასწრო და იმ წამსვე მიწაზედ გადაიქცა.

— ეს კიდევ არა კმარა შენთვის, შე ბოროტო! სთქვა ზურაბმა და დაახალა ზედ მუხლზედ დამბაჩა. დამბაჩის გავარდნა და მისი გაქცევა ერთი იყო.

ამ ხმაურობაზედ გამოცვივდნენ სახლიდგან წივილ-კივილით და საშინელს სანახაობას ზედ თავზედ წაადგნენ: სისხლში მოშცურავს თენგიზს ხახა დაეღო, თვალები ღია დარჩენოდა, კისერი მოჰგრეხოდა, ცალი მკლავი უკან გადაედო, ცალი ხელი ჰრილობაზედ ეტაცნა და ასე დაელია სული.

—

ამ ამბის შემდეგ რამდენმამე წელიწადმა გაიარა. ზურაბი მოხუცდა, წელში მოიხარა და ლოგინად ჩავარდა. მისი ჩავარდნილი თვალები, გამხდარი, ფერ-მკრთალი პირის-სახე, გათეთრებული და უსიცოცხლო გამომეტყველება ამტკიცებდა, რომ ბევრი რამე გადახდენოდა თავზედ და აუარებელი ტანჯვა-წვალება, ვაი ვაგლახი გამოევლო. მოხუცებული ზურაბი ჰგრძნობდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და ამიტომ ერთს საღამოს მოიხმო თავისი შვილები შვილის-შვილებითურთ. მთელი ოჯახობა შეიკრიბა ავადმყოფის სარეცელის წინ, რათა გულის დადებით მოესმინათ მოხუცის უკანასკნელი დარიგება და სიტყვა სახლის უფროსისა. ზურაბმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შესძლო და ცალი ხელით ანიშნა თავისს უფროსს შვილს მექაის, ახლოს მისულიყო, რომ უკანასკნელი ლოცვა კურთხევა მიეღო. შვილი მივიდა, ჩაეკრა მამას გულში და ღაპა-ღუპით გადმოუცვივდა ცრემლები, მოხუცებულს მამასაც წამოერია ცრემლები, მაგრამ ისევ მალე შეიმაგრა თავი, ცალის ხელით შვილი მოიშორა და ხმის კანკალით უთხრა:

— ტირილი დედა-კაცთ წესია! მოდი, მომიგდე ყური. ჩემი დღენი განვლე, სამარეში ფეხი ჩავდგი; ბევრი რამ გადამხედნია თავზედ, შენ-კი ეხლა შედიხარ ცხოვრებაში...

აქ ზურაბი შეჩერდა, მწარედ ჩაახველა და კვლავ განაგრძო:

— მე ყოველთვის პატიოსნებისა და ჩვენი გვარის ნამუსის მფარველი ვიყავი. ღმერთმა იცის, რომ კაცისათვის ცუდი არა მიქნია რა უმიზეზოდ. გვარს და პატიოსნებას გაუფრთხილდით, ერთობა გქონდეთ... ძნელია, როდესაც კაცს გული სხვის სისხლში აქვს გასვრილი, მაგრამ უფრო ძნელია, თუ პატიოსნებას არ დაიცავ და სისხლს არ აიღებ.

შვილო მექაი, ერთი საიდუმლო უნდა გაგიმჟღავნო და გეხვეწები — გვარეულობის სამარცხვინოდ სისხლი აუღებელი არ დარჩეს!... ეს არის ჩემი ხვეწნა, მხოლოდ ესა!

ამ სიტყვებზედ მექაის ფერი ეცვალა და გაკვირვებით შეჰხედა მამას. ავადმყოფმა კვლავ განაგრძო ნელის ხმით:

თენგიზ, ჯაჭვლანიძე მოვკალ... რას შეკრთი, შვილო? დიახ, მე მოვკალი..., მაგრამ იმათაც არ შეგვარჩინეს სისხლი და შენი უფროსი ძმა მოჰკლეს... თქვენ ეს არ იცოდით, მე-კი დაწვრილებით ყველაფერი ვიცოდი და გიმალავდით.

— რას ამბობ, მამაჩემო? გაოცებით გააწყვეტინა მამას შვილმა საუბარი.

— მოითმინე, სიტყვა დამასრულებინე, ამ ამბავს მხოლოდ მეორედ ვამბობ ჩემს სიცოცხლეში. მე რომ ჩემი და აღათი, ღმერთმა აცხოვნოს, გადაღმა სვანეთში მომიკვდა, საწყალმა გზაში შვილი ჰშობა.... მგონია ვაჟი იყო... მე-კი ულმობელმა ადამიანმა, სირცხვილის ასაცდენად გამოვტაცე დედას ხელიდგან შვილი და კლდიდგან გადავისროლე. საცოდავმა აღათიმ-კი შვილთან ყოფნა ირჩია და ისიც თან გადაჰყვა. მისი უკანასკნელი სიტყვები ეს იყო: „ულმერთო! მაგისი რა ბრალიაო“. ეს ხმა ეხლაც ყურში მიწივის და არ მასვენებს, სულს მიხუთავს.......

ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა, დამაფიქრიანა და გადავწყვიტე თენგიზ ჯაჭვლიანი მომეკლა და ამითი ჩემის დის სისხლი გამომესყიდნა, შური მეძია. როგორც გადავწყვიტე, ისე ავასრულე და თენგიზი სწორედ იმისთანა დროს მოვკალი, როდესაც სრულს სიამოვნებაში იყო. ეგ ვალი გადავიხადე, მაგრამ უმანკო ბავშვის სიკვდილი-კი არ მეპატივება!.. იმისი ცოდვა ეხლაცა მტანჯავს!.. აქ მოხუცმა მწარედ ჩაახველა და შემდეგ განაგრძო:

— მაგრამ შენის ძმის სისხლი ისევ აუღებელია, შური უძიებელია!..ჩემი შვილი ჯაჭვლიანებმა ფარულად, დიაცურად, მოჰკლეს. მაგრამ შური მაინც იძიეს. ეხლა, ჩემო შვილო, ჩემი ხვეწნა და ანდერძი ის არის, რომ პირველად ჩემის სულისათვის ილოცოთ და ამით ცოდვები შემიმსუბუქოთ. მეორე, ჯაჭვლიანებს ძმის სისხლი არ შეარჩინოთ და თქვენც შური იძიოთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ საზოგადო ჭირის დროს, მტრის შემოსევის დროს, შური უნდა დაივიწყოთ და ერთად უნდა იმოქმედოთ. დიდი შერცხვენაა, ვინც საზოგადო საქმის დროს კერძო საქმეს ემსახურება და შურს მაშინ იძიებს, — ის ხალხის მოღალატეა. მეტი ლაპარაკი აღარ შემიძლიან... მოდი, შვილო, მაკოცე. თვალ-ცრემლიანი მექაი მივიდა მამასთან და გადაეხვია. ასე დარჩნენ გადახვეულნი რამდენსამე ხანს, შემდეგ მექაი წამოდგა და მწარე ქვითინი დაიწყო. ამ ქვითინს მთელმა ოჯახმა შეუერთა თავისი ქვითინი. ზურაბმა ერთი მწარედ ამოიოხრა, მერე გაიზმორა, და „ულ—მერ... თო... მა...გისი,...რა ბრ...ა...ლია!“ წაიბუტბუტა კანკალით, სული განუტევა.

ივანე მარგიანი

სავატი, კუჭის მადმერთებელი, უმოქმედო, მცონარა კაცი, რომელსაც თავისის თავის სილაღე-სიამოვნების მეტი ამ ქვეყნად არა გააჩნია-რა, თუნდა ქვა ქვაზედაც ნუ დებულა, და მოსამსახურე ტერეზა, პირველში, ვიდრე გამორჩენა აქვს, მორჩილი, ყოველის ფრის აღმსრულებელი, გამგონე და დამჯერო, ხოლო შემდეგ, სასარგებლოს რომ აღარას გამოელის, ბრიყვი, უთავაზო, სიტყვამკვახე, ერთის სიტყვით, ჩვეულებრივი მოსამსახურე, როგორსაც ყოველს ოჯახში შეჰხვდებით უმეტ-ნაკლებოდ. ქ-ნს დე-ფორნარის და პეპინო სიჯისმონდს ისეთი მცირე ადგილი უჭირავთ მთელს პიესაში, რომ იმათი მკრთალად დახასიათება არც ეკიჟინება ავტორს.

მაშასადამე, დარჩა ელიზა და კარლ მორეტი, ეს უხასიათო ცოლ-ქმარნი, რომელთაზედაც მიპყრობილია მსმენელ-მაყურებელის ყური და თვალი დრამის დასაწყისიდგან დასასრულამდე. აი, აქა ჰქონდა ავტორს სრული შეძლება ეჩვენებინა თავისი ცოდნა ადამიანის ბუნებისა, დაეხასიათებინა იგინი ისე, რომ ყოველი მათი მოქმედება, ყოველი საქციელი, ყოველი ნაბიჯი ცხოვრებისა შესაძლებელობის საზღვარს არ გადასცილებოდა და ეს მოქმედება, იმათის გუნების ასე თუ ისე ცვლა თვით იმათისავე ბუნების შესაფერი და შესაბამი ყოფილიყო.

რად ულალატა ელიზამ ქმარს, რომელიც გატაცებით, გაგიჟებით უყვარდა? იმიტომ-რომ პეპინის სავსე ქისა ჰქონდა, იმიტომ-რომ უკეთ მოეწყო თავისი ცხოვრება, დანაკლისი და გაჭირვება არა ენახარა, არა გამოევლო-რაო. ან რატომ არ უნდა ეღალატნა, ამითი რა დაშავდებოდა? ხომ ვერავინ ვერას გაიგებს და ამითი ქმრის სახელსაც ჩირქი არ მოეცხობაო, ასე ჰფიქრობს ეს ცუდად აღზრდილი ყმაწვილი ქალი, თითქოს სახელის, პატიოსნების გაჩირქიანება მარტო უნამუსობის გამოქვეყნებას, ხალხში მოფენას მოსდევს და არა თვით საქციელს სწორედ იმ წუთიდგან, როდესაც იგი ჩადენილია და ზნეობა დარღვეული, შელახული? რასაკვირველია, რიგიანად განათლებული ქალი ამას არ იტყოდა, ოქროზედ არ გაიყიდდა თავს, მაგრამ ელიზა უხასიათოა, ამბობს ავტორი თვით იმისისავე პირით, სუსტი, ცხოვრების არ-მცოდნე, გაჭირვების ვერ ამტანიო.

მაგრამ ეს სიტყვებია მხოლოდ და იგი ვერ ასაბუთებს ჯეროვანად ყმაწვილის ქალისაგან თავის გაყიდვას, როდესაც საყვარელი ქმარი გვერდითა ჰყავს და ლუკმა-პურს მოკლებული არ არის. ეს დასაჯერებელიც რომ იყოს, დახასიათებული არ არის. აიხდება თუ არა ფარდა, ელიზა უკვე დაცემულია ზნეობით, მისი პატიოსნება უკვე გაყიდულია და მნახველი ამისა მისდა უნებურად ეკითხება თავისს თავს—რამ მიიყვანა იგი ამ დაცემამდე, რამ ჰყო იძულებულ ამის საქმნელადაო, და პასუხს ამაოდ დაუწყებს ძებნას. თვითვე უნდა მოუძებნოს ამას მიზეზი, თვითვე დაასაბუთოს იგი იმითი, რასაც შემდეგ გაიგონებს სხვათა და თვით ელიზასაგან. აქ იმდენად თვით ის ამბავი არ არის საყურადღებო და საგულისხმიერო, რომ ელიზა მოღალატეა ქმრისა, არამედ ის, როგორ რა გზით იარა აქამდე, როგორ დაეცა ზნეობრივად,—და ეს-კი ავტორს წარსულის ნისლ-ბურუსით მოუფენია.

და ან თვით კარლი რა ადამიანია, რად არის ისე ბრმა, რომ ვერა დაუნახავს-რა, ვერა შეუმჩნევია-რა? უხასიათოა, ცხორვების არ მცოდნეო გვიპასუხებს ავტორი პეპინოს პირით. კარგი, ვთქვათ, დავიჯეროთ ეგზომი გამოუცდელობა კარლისა, რომ არ იცის, თუ პატარა ჯამაგირით მდიდრული ცხოვრება არ შეიძლება, თუმცა ამის ცოდნას დიდი გამოცდილება არა სჭირია,—მაგრამ მაშინ, როდესაც გაფუფუნებული ცხოვრება მოაკლდა, როდესაც გარშემო დანაკლისი დაინახა, როდესაც შენიშნა,—ყავა არ ვარგაო, მოსამსახურენი თავს წავიდნენო და ჯამაგირი კი უფრო მეტი მეძლევაო, მაშინ რაღამ აუხვია თვალები? ნუ თუ იმდენი ვერ მოისაზრა, რომ შეჰკითხებოდა თავისს თავს,—ეს რა ამბავია, მცირე ჯამაგირი მქონდა, ხელგაშლითა ვცხოვრობდი, მოგება მომემატა და სიღარიბემ და გაჭირვებამაც იმატაო? გამოუცდელი და ცხოვრების უცოდინარი-კი არა, მთლად ბისტი უნდა გადაეკრას თვალებზედ და ბინდი აეფაროს წინ, რომ ადამიანმა ეს ვერ დაინახოს.

მაგრამ ავტორს ასე უნდა და და ვუჯეროთ. ასე უნდა, რომ მოამზადოს სცენა „თვალის ახილებისა“, ყველაფრის უცბად გამოაშკარავებისა. აი, ამ თავს ზარ-დამცემის სცენისათვის ამზადებს ავტორი ყველაფერს, მზად არის კარლს სისულელეც-კი აკისრებინოს, ელიზას, ამ უხასიათოს, ამ ცქრიალა ქალს, ძველის-ძველი ყოვლად გამოუსადეგარი ანგარიშებიც-კი შეანახვინოს უჯრაში, რომ ქმარმა შეადაროს შემდეგ პეპინოს უბის წიგნთან, და, ასე წარმოიდგინეთ, თვით პეპინოც-კი მოაკვლევინოს შუადღისას ქუჩაში, ისეთის უცნაურის მკვლელობით, რომლისთანასაც თვით სენატორი კონიც-კი ვერ წარმოიდგენს საქართველოში, სადაც, იმისის აზრით, კაცის კვლა ჰმეტობს სხვა დანაშაულს, სადაც ნაფიც მსაჯულთა შემოღება ჯერ ყოვლად შეუძლებელიაო,—არამც თუ მილანში. ან რა ჰქმნას, უნდა მოაკვლევინოს, უეჭველად უნდა მოიშოროს იგი თავიდგან, რომ ამითი გაღარიბდეს კარლის ოჯახი, რომ სცენას „თვალის ახილებისას“ უფრო დაუახლოვდეს, უფრო შესაძლებელი გაჰხადოს იგი.

აი, მთელი პიესა ამ სცენისათვის არის დაწერილი. რა კარგი სურათია, როდესაც ქმარი უცბად შეიტყობს ყოველივეს და გრგვინვა-ქუხილად გარდაიქცევაო, ჰფიქრობს ავტორი და ეს ფიქრი პირველ მოქმედების პირველ სცენიდგანვე აშკარაა მაყურებლისათვის, იგი ადრევე ჰგრძნობს, სადაც მივყევარ ავტორსაო, და ყურს აღარ უგდებს იმისს ათასს ხრიკს, ათასს ცრუსა და მართალს ამ სცენის შესაძლებელად შექმნისათვის.

აი, ასეთის ხელოვნებით არის დაწერილი ეს „დაჯილდოვებული“ პიესა, რომლის მეორე მოქმედებისათვისაც მოუნდომებია ავტორს მთელი ძალა და ღონე თავისის შემოქმედობისა. კიდეც ეს არის მიზეზი, რომ პირველი მოქმედება ყოველსავე ინტერესს მოკლებულია და მესამე, მეორესთან შედარებით, „თვალის ახილების“ სცენის შემდეგ, უფერულია, სუსტი, ველარ შემძლე ისე იმოქმედოს მაყურებელზედ, როგორც სცენამ იმოქმედა „თვალის ახილებისამ“. ეს სცენა-კი მართლნა მშვენიერია, მართლა ღირსი მოწონებისა და ქებისა. აქ გამოუჩენია იტალიელს მწერალს სრული თავისი ნიჭი, ცოდნა ადამიანის ბუნებისა, მისის სულიერ თვისებათა. ამ სცენაში ისეთის ჭეშმარიტებით არის აღნიშნული შიში ელიზასი, რომ ქმარმა ყველაფერი შეიტყოო, თანდათან გაბოროტება და გაბრაზება კარლისა, რომ მაყურებელს დიდხანს არ დაავიწყდება იგი, დიდხანს ჩარჩება გონებაში.

რისი თქმა უნდოდა ავტორს? აი რისი? ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო. ამის აღნიშვნას ისე ძლიერა სცდილობს ავტორი, რომ ამის გულისათვის ქ-ნ დე-ფორნარის ფულს მისის ქმრის მიერ გაფლანგულის შესავსებად კარლისთან მიატანინებს. იქ რად უნდა მიეტანა ეს ფული, როდესაც ყველა სასამართლოშივე წარადგენდა, სადაც ამ გაფლანგვის საქმე სწარმოებდა, მაგრამ ავტორმა აქაც სიმართლეს უმტყუნა, უმტყუნა იმიტომ, რომ კარლის სწორედ ის ფული გააფლანგვინოს, რომელიც მის მიერ დაცინებულ, მის მიერ გაკიცხულ კაცის ცოლს მოაქვს ქმრის დანაშაულის შესამსუბუქებლად. ან თვით ქ-ნ დე-ფორნარის რა დამოკიდებულება აქვს პიესის ნასკვთან, მის სწორედ იმ სახით მსვლელობასთან, როგორც ამ ჟამად სწარმოებს და იშლება იგი ჩვენ თვალ-წინ, რად ჩაუჩხირია იგი მწერალს ამ დრამაში, თუ არ იმიტომ, რომ ფული მოატანინოს მისდა გასაფლანგავად და ამითი უფრო ადვილად მისახვედრი, ადვილად საგრძნობი გაჰხადოს სიმართლე ანდაზისა—„ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.“ აი, ამ ანდაზის ვიწრო ფარგალში მოუქცევია ის ზნეობრივი მცნება, რომ „გაითვალისწინე საქმის ყოველივე გარემოება და ისე განსაჯე. შეიგნე და შეუნდობო“.

პიესის აღსრულების შესახებ უნდა ვთქვათ, რომ თვით მობენეფისე საუცხოო სანახავი იყო, მეტადრე „თვალის ახილების“ სცენაში, სადაც მისს ნიჭს ასპარეზი გაუჩნდა ფრთის გაშლისა. ცოტა არ იყოს ხმისნაკლებულობა უშლიდა ხელს არტისტს სრულ და უნაკლულო ექმნა კარლის როლი. ქ-ნმა ავალიშვილისამ ისეთ ადამიანად დაგვიხატა ელიზა, თითქოს იგი შებრალების ღირსი ყოფილიყოს, მსხვერპლი ცხოვრების უკუღმართობისა და არა უხასიათო, ცხოვრების ფუფუნებით გაგარეწრებული, ზნეობრივად მახინჯი ადამიანი, რომელიც ღირსია კიცხვისა და არა შებრალებისა. ამ როლის ასე წარმოდგენა დიდი შეცდომაა, რადგან თეატრი სავსეა ახალ მოზარდის ყმაწვილ ქალებით და თუ ბიწიერებამ თანაგრძნობა გამოიწვია, არტისტი ქალი ვერაფერს სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას ამ როლის ასე დახასიათებით.

ასეთივე ნაკლი ჰქონდა ბ-ნ გედევანოვსაც, რომელმაც ორლანდი გრძნობიერ მამად დაგვიხატა და არა ცრუ, ფუქსავატ, მუქთა-ხორა, უგულო და უსულო კაცად. ქ-ნს ჩერქეზიშვილისას მშვენივრად შეეგნო ტერეზას როლი და უნაკლულოდაც შესძლო მისი გათვალისწინება საზოგადოების წინაშე. დანარჩენთა შესახებ როლების უმნიშვნელობისა გამო არა-ითქმის-რა.

მეორე პიესა, ამ საღამოს წარმოდგენილი, „შეცდომა“ იყო თავ. ი. ბარათაშვილისა, ჩვენის ცხოვრებიდგან დაწერილი. ისეთი იშვიათია ჩვენს სცენაზედ ჩვენის ცხოვრების გამათვალისწინებელი პიესები, რომ სიამოვნებით მივეგებენით იმის წარმოდგენის სურვილს. მაგრამ თურმე შეცდომა მოგვსვლოდა: ეს პიესა ანტონოვის პიესიდგან არის გადმოწერილი, ანუ გადმოსურათებული. ავტორს წაუკითხავს განსვენებულ გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის პიესები, მისჯდომია მაგიდას და დაუწერია „შეცდომა“. ამითი, რასაკვირველია, დიდი შეცდომა მოსვლია, რადგან დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ის აღარ არის, რაც ამ ორმოც-დაათის, სამოცის წლის წინად იყო. „ვტაროი გილდი კუპეწი“, წიწაკის ქუდით შემკული, ჩოთქითა და დავთარით ხელში რომ ათის თუმნის სათხოვნელად მიდიოდეს, ასეთს სურათებს ველარა ჰნახავს ვერავინ დღეს ჩვენ ცხოვრებაში და ეს ცხოვრების გადასხვაფეროვნება ავტორს სრულიად გამორჩენია. შინაარსიც-კი ამ პიესისა თითქოს იმავ ანტონოვი საგან არის ნასესხები, რაც რასაკვირველია საქებურად არ ჩაეთვლება ახალგაზდა ავტორს.

მანოელიძე

# რუსეთი

—

უწ. სინოდში კვლავ აღუძრავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ყველა დედათა და მამათა მონასტერთან უსასყიდლო სასწავლებლები დაარსდეს გლეხ-კაცთა შვილებისათვის.

— რუსეთის ზოგიერთ გუბერნიის თავად-აზნაურობათ მთავრობის წინაშე შუამავლობა დაუწყიათ იმის შესახებ, რომ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, გუბერნატორი-კი არა, სენატი ამტკიცებდესო.

— კიევის ქალაქის საჭოში ამას წინად კრება ჰქონიათ იმ კამისიის წევრთ, რომელსაც დავალებული აქვს კიევში პოლიტეხნიკურის ინსტიტუტის დაარსებისათვის იზრუნოს. ეს საქმე, ე. ი. ინსტიტუტის დაარსება, თურმე გადაწყვეტილად მიაჩნიათ. 750 ათასი მანეთი კერძო კაცთ შეუწირავთ ამ საქმისთვის. 100 ათასი მანეთი მარტო ლ. ი. ბროდსკის, კიეველ მდიდარს გადაუდვია ამ საქმისათვის. გენერალ-გუბერნატორი გრაფი იგნატიევიც დიდს მონაწილეობას იღებს თურმე. კამისია თავისს მუშაობას ჩქარა მორჩება, არა უგვიანეს მარტისა და მაშინვე შემუშავებული წესდება უმაღლესს მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად. ინსტიტუტს ქალაქი უთმობს 40—50 დესიატინა მიწას. ამ ზომის მიწა უთუოდ საჭირო იქნება ინსტიტუტისათვის, რადგან იმასთან სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაც უნდა იყოს დაარსებულიო.

# უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** კრიტის ამბოხებამ ბალკანეთის ყველა პატარა სახელმწიფოებს ააცქვეტინა ყურები. სერბია და ბოლგარია ბერძნების თითოეულს ნაბიჯს, თითოეულს სიტყვას და სულის თქმასაც-კი დიდის გაფაციცებით ადევნებს თვალყურს. რაღა თქმა უნდა, ამ პატარა სახელმწიფოების სადარდელიც, ისე როგორც საბერძნეთისა, მხოლოდ ის არის, რომ მარჯვე შემთხვევა არ დაჰკარგონ და სასიკვდილოდ განმზადებულს ოსმალეთს თავიანთ სასარგებლოდაც ჩამოაცალონ რამე.

როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, ბელგრადში მეფის თავმჯდომარეობით მინისტრებს კრება ჰქონიათ და დაუდგენიათ, რომ ჯერ-ჯერობით მოვიცადოთ, ხოლო როცა ჯერი ოსმალეთის განაწილებაზედ მიდგება, მაშინ-კი საქმეში უთუოდ უნდა ჩავერიოთო.

სერბიის გაზეთებიც ამ საქმის შესახებ მთავრობას უკან არ ჩამორჩნენ, თუ არ გაუსწრეს, და ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. ერთი გაზეთი ამბობს, რომ კრიტის საქმეები მშვიდობიანად დაბოლოვდება, მაგრამ იმის შემდეგ ევროპას უფრო დიდი საქმე მოელისო. ეს საქმე ოსმალეთის განაწილების საქმეა, რომლისათვის ჩვენ კარგად უნდა მოვემზადნეთო. ამ საქმეში ერთი უხერხული ნაბიჯიც-კი ძვირად დაგვიჯდებაო. სხვა გაზეთებიც ამავე აზრისანი არიან, მხოლოდ ზოგი იმათგანი იმასა ჰფიქრობს, რომ ოსმალეთის საქმე უომრად არ გადასწყდება და ჩვენ ჩვენის ქვეყნის დიდებისათვის ყოველსავე ღონისძიებას უნდა მივმართოთო; ყველაფერი სახელმწიფოს უნდა შევსწიროთო და სახელმწიფო-კი ვერაფერს შეეწირებაო.

მუდამ მხნე და მამაცი ბოლგარია აბა სერბიას რას ჩამორჩება უკან. ბოლგარიის გაზეთები ასე ჰფიქრობენ, რომ კრიტის საქმეს მთელის აღმოსავლეთის საქმეც თან მოჰყვება, ოსმალეთის განაწილების დრო დადგა და ბოლგარიამ თავისი ნაწილი არ უნდა დაჰკარგოსო. ზოგიერთი გაზეთები სჩივიან კიდეც, რომ ბოლგარიის ეხლანდელი მთავრობა საქმეს კარგად ვერ მოაგვარებს, ბოლგარიის ინტერესებს ჯეროვანად ვერ დაიცავს, და იგონებენ სტამბულოვს—იმისთანა კაცი დღეს ჩვენთვის დაუფასებელიაო.

—

**იაპონია.** ამ უკანასკნელს წლებში ერთობ ბევრი მუშა მიდიოდა იაპონიიდგან ამერიკის შეერთებულ შტატების ნავთ-სადგურებში. ამერიკის ბაზრები გაივსო იაპონელ მუშებით. ეს რა თქმა უნდა, ერთობ საზარალო იქმნებოდა ადგილობრივ მუშათათვის, რადგანაც ქარხნების და ფაბრიკის პატრონები ჩინებულად სარგებლობდნენ ამ შემთხვევით და სამუშაო ქირას აკლებდნენ. ამიტომაც დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა ამერიკის მუშათა შორის. ხელ-ახლად იჩინა თავი საშინელმა „მუშათა საქმემ“, რომელიც, რა თქმა უნდა, ერთობ ძვირად დაუჯდებოდა ამერიკას, თუ მთავრობას ჩქარა არ ეღონა ღონისძიებანი ამ უკმაყოფილების მოსასპობლად. ამერიკის მთავრობამ მართლაც რომ ჩქარა აუღო ალღო საქმეთა გარემოებას და ბრძანება გამოსცა, რომ იაპონიიდგან მოსულ მუშებს ამერიკის ნავთ-სადგურებში ნულარ შემოუშვებთო. მაგრამ, თუ ამერიკას მუშების მომეტებულის

იცხვისა ეშინოდა, არც იაპონიისავის იყო კარგი ეს გარემოება, რადგანაც ამ ქვეყანას აკლდებოდა მუშა ხელი და ეს ხომ შეუბრალებლად უთხრიდა ძირს იაპონიის ფაბრიკისა და ქარხნების წარმოებას, რომელიც ასე სისწრაფით ჰმატულობს ამ ქვეყანაში. ამიტომაც იაპონიის მთავრობამაც სასტიკი ღონისძიებანი იხმარა, რომ ხალხი აღარ გადასახლებულიყო.

### ნაწყვეტი

—

რამ შეგკრა და რამ შეგბოჭა
ეგრე შავად ჩემო ბედო,
რომ წამებულს არსით მიჩანს
განთიადი საიმედო.
მაგრამ, კრულო, ნუ გგონია
ბრძოლა აღარ გაგიბედო,
დაგნებდე და დაგემონო,
მედგრად აღარ ვიმოქმედო!..

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

ჭეშმარიტი ქრისტიანი იგია, ვისიც გული ღიაა სიყვარულისათვის და ვისაც უყვარს განურჩევლად ძლიერიც და უძლურიც, დიდიც და პატარაც, მდიდარიც და ღარიბიც.

ლებბოკი

***

წინ წამიძეღ, კეთილ-მყოფელო სინათლევ! მე შენ მოგენდე და შორს აღარ ვიყურები. მე კმაყოფილი ვარ მითაც, თუნდ მარტო ერთი ბიჯი წინ წავდგა შენის წინამძღოლობითა.

ნიუმანი

***

მარტო ძალიან დიდ-ბუნებოვანი კაცი მიაღწევს უკვდავებამდე.

შტეტენჰეიმი

### ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ჯერ კიდევ პარიზის გამოფენაზე იყო ნახული ეგრედ წოდებული „ეტლი (ეკიპაჟი) კეროსინით მოსიარულე“. ამ ეტლმა უფრო ყურადღება მიიქცია თურმე, ვიდრე ელექტრონით მავალმა. ელექტრონით მავალი ძლიერ ძვირად ჯდება და ძალიან ცოდნასაც თხოულობს მართვისა და სიარულისათვის და ამასთან დიდძალს ღონესაც. ყოველივე ეს ძნელად მოსახერხებელია არამდიდარ კაცისათვის, ნამეტნავად სოფლად, საცა ამისი მცოდნე კაცი, ოსტატი ძვირად იპოვება. სულ სხვაა თურმე კეროსინით მავალი ეტლი, ჯერ ერთი რომ უფრო ბევრად იეფია, მეორე ამისთანა ეტლს ძალიან დაბალი კეროსინიც რომ იყოს, ისიც გამოადგება და კეროსინი საცა გნებავთ, დღეს იქ ადვილად იშოვება. თვითონ აგებულობა კეროსინით მავალ ეტლისა მეტის-მეტად სადაა და მარტივი, პატარა საზრიანი კაცი ადვილად მიუხვდება ყველაფერს და ამიტომაც განსაკუთრებული ოსტატი იმისათვის საჭირო არ არის, თუ არა გაუტყდა რამ.

ამისთანა ეტლი სამთვლიან ველოსიპედსა ჰგავს. სახურავი, კაცის დასაჯდომი და წინ ფეხზე დასაფარებელი ისეთი აქვს, როგორც ჩვეულებრივ ეტლსა. ხოლო კოფა არა აქვს, კუჩერის საჯდომი, რადგანაც უცხენოდ და ურარაოდ მარტო მანქანის წყალობით დადის და ამ მანქანას კეროსინი და ცივი წყალი ამუშავებს. ამისთანა ეტლი საათში 16—20 ვერსტამდე გაივლის თურმე გზატკეცილზე და ქალაქის ქუჩებზე და ისე უბრალო სოფლის გზებზე-კი თუ ძალიან აღმართ-დაღმართი და უსწორ-მასწორო არ არის, ამ ეტლით შეიძლება კაცმა 8—10 ვერსტი გაიაროს საათში. ამისთანა ეტლებს აკეთებენ პარიზში ორის კაცისათვის გნებავთ, თუ ოთხისათვის და ჰღირს თურმე 1500—1900 მანეთამდე, ესე იგი, იმდენად, რამოდენადაც ცხენის კარგი ეტლი ჯდება.

მანქანა ისე აქვს მოწყობილი, რომ როცა გნებავთ ეტლს გააჩერებთ, როცა გნებავთ, გაუშვებთ სატარებლად. აგრედვე ადვილად მისაბრუნებელ-მოსაბრუნებელია მისახვევ-მოსახვევად. კეროსინისაგან არც ცეცხლის შიში აქვს, არც აფეთქებისა, იმიტომ—რომ კეროსინი და ბენზინი აქ უცეცხლოდ მოქმედებენ. ესეც ახალი ამბავი: უცხენოდ და ურარაოდ შეგიძლიანთ მშვენიერის ეტლით წაბძან-წამობძანდეთ და მერე ამისათვის თითქმის ყოველი გზა კარგი და ცუდი სულ ერთია, ოღონდ ცუდს გზაზედ ნაკლების სისწრაფით ივლით, სხვა ფრივ-კი არა დაგაბრკოლებთრა, აღარც ცხენების შენახვა, აღარც კუჩერის ყოლა. (ზ. გ.)

***

რძე მეტის-მეტად საშიშია, თუ ჯანმრთელის საქონლისა არ არის. უკვე უწყებულია, რომ პირუტყვი და მათ შორის ძროხაც შესაძლოა ჭლექით იყოს სნეული და ხშირადაც მოხდება ხოლმე ამისთანა ამბავი. ჭლექის პირუტყვის რძე ადამიანსაც გადასდებს სიჭლექესა. მეცნიერს ბანგს უცდია ეს და ამბობს, ჭლექის გადადება რძისაგან უეჭველიაო. ამ მეცნიერს ჭლექიან ძროხის რძე უძლევია სხვა-და-სხვა წვრილ ფეხ პირუტყვისათვის და ყველას იმათ შეჰყრია ჭლექიან და დახოცილან. პროფესსორი ბრუარდელი იუწყება, რომ ერთს დიდს დედათა სკოლაში მოკლე ხანში ჭლექით გახდა ხუთი ქალი 14—18 წლისანი. ამ ქალების გვარეულობაში თავისს დღეში არავინ ყოფილა ჭლექით სნეული. როგორღაც მკურნალს შემთხვევა მისცემია და უნახავს ერთი ძროხა ჭლექით სნეული. ბეჯითმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ სწორედ ამ სნეულის ძროხის რძე უზიდნიათ სკოლაში და უსმევიათ შეგირდ-ქალებისათვის და აქედამ ხუთს მათგანს ჭლექი შეჰყრიათ. ერთად-ერთი სახსარი ამისთანა განსაცდელისაგან ის არის, რომ აუდუღარი რძე არა ჰსვას ადამიანმა. ადუღება-კი ძალიან უნდა. რძე ადუღებული 80 გრადუსამდე ცელსისა მაინც საშიშია თურმე. ხსენებულს მეცნიერს ბანგს უცდია 80 გრადუსამდე ადუღებული რძე და მაინც უნახავს, რომ ჭლექი გადასდებია. საცდელად აუღია ჭლექიან ძროხის რძე, აუდუღებია არა უმეტეს 80 გრადუსის ცელსისა და დაულევინებია გაციებული თეთრ-კურდღლისათვის (კროლიკი) და კურდღელს შეჰყრია მაინც ჭლექი. ხოლო ჭლექიან ძროხის რძე ადუღებული 85—100 გრადუსამდე ცელსიისა უვნებელი გამოდგარა.

ამ სახით გამოდის, ძალიან ადუღება სდომებია რძეს, რომ ადამიანი დარწმუნებული იყოს რძის უწყინარობაზე. არ იქნება მეტი ამისთანა სიფრთხილით ვიხმაროთ რძე ოჯახებში.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 თებერვალი

**პეტერბურგი.** საფრანგეთის საელჩოს სასახლეში ჩინებული ბალი გაიმართა, რომელსაც პატივი სცეს და დაესწრნენ დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, კირილე ვლადიმირის ძე, ბორის ვლადიმირის ძე, პავლე ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა.

**პენზა.** გორიდიშჩ ცოფიანმა მგელმა 28 კაცი დაჰკბინა.

**პარიზი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა არტონი, რომელიც ამ ჟამად სასჯელს იხდის პანამის საქმეში ქრთამის გაღებისათვის. არტონმა განაცხადა, რომ ორი მილიონი დავარიგე და ამას მაშინ განვმარტავ, როდესაც გათავდება გამოძიება 104-თა საქმისაო.

**ბერლინი.** „ფოსსის გაზეთმა“ გამოაქვეყნა წერილი საბერძნეთის ათენის ელჩისა, რომელშიაც ნათქვამია: გთხოვთ დაბეჯითებით უარჰყოთ ის გაზეთების მიერ ნაუწყები ამბავი, ვითომ საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სიტყვა გაუკრა ზოგიერთ უცხო ქვეყნის წარმომადგენელთ, რომ შესაძლებელია საბერძნეთის სესხის კუპონების $^1/_3$ გარდახდილ არ იქმნასო.

**ვენა.** „ფრემდენბლატტი“ სწერს: გერმანიამ, ავსტრი-უნგრეთმა, ინგლისმა და რუსეთმა განაცხადეს, რომ სრული თანახმანი ვართ ერთმანეთისაო; იტალიამ განაცხადა, რომ საზოგადოდ მივიკედლები ყოველსავე იმას, რაშიაც ყველა დიდნი სახელმწიფონი მიიღებენ მონაწილეობასაო; საფრანგეთის თანხმობის ამბავი თუ არ მოსულა, დღეს მოვა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იმოქმედებენ ეს სახელმწიფონი, გაზეთი ამბობს: სტამბოლში მყოფნი ელჩნი ყოველთ უწინარეს პორტას აუწყებენ, რომ დიდთა სახელმწიფოთ განზრახვა აქვთ თითონ იკისრონ კრიტში მშვიდობიანობის დამკვიდრების საქმე ოსმალეთის სახელითაო; შემდეგ ამასვე აცნობებენ საბერძნეთსაც. რაც შეეხება თხოვნას კუნძულიდგან ჯარების გაყვანისას, იგი ულტიმატუმის სახით იქმნება ნათქვამი, ანუ ულტიმატუმის მნიშვნელობა მაინც ექმნება ასეთს მოთხოვნას და თან მოჰყვება სასტიკნი ძალის დამატანებელნი საშუალებანიო.

**რომი.** ასმარიდგან ამბავი მოვიდა, რომ რას-ალულა გარდაიცვალაო.

**ლონდონი.** ეხლა შემოწმებულია, რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობა ასრსებობს კრიტის საქმეთა შესახებ. ამ ახლო ხანებში ალბათ-შესანიშნავს მანიფესტაციას მოელიან.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ დეპეშით აუწყებენ კანეიიდგან, რომ კანდანოში მაჰმადიანები აღელვებას იმუქრებიანო. კონსულები შეშფოთებულნი არიან. სამმა სამხედრო ხომალდმა, რომელნიც წარსულ ღამეს მოშორდნენ კანეას, კანდანოს გარშემორტყმულთა ხელმძღვანელთ გარდასცეს წერილი, რომელშიაც თხოულობენ, რომ შეძლება მოგვეცით დაუბრკოლებლად გადავიყვანოთ კანდანოში შემწყვდეულნი ზღვის უმახლობელეს ნაპირზედაო.

**კონსტანტინეპოლი.** პორტას ამბავი მოუვიდა, რომ ხერსონესში გემებით მივიდა ექვსასი კაცი საბერძნეთის ჯარისა სამის ზარბაზნითა და ტყვია წამლით და აგრეთვე საბერძნეთიდგან მოსულ მეამბოხეთა ხელმძღვანელებითო.

**პეტერბურგი** გამოცხადდა უმაღლესნი ბრძანებანი: 1, იმის შესახებ, რომ გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და რეალურ სასწავლებელთა მასწავლებლებს უფლება მიეცეთ ჯამაგირად 900 მანეთი მიიღონ, თუ კვირაში 12 გაკვეთილი ექმნებათ, ისე-კი, რომ 5 ის წლის ნამსახურნი იყვნენ, თუნდა ეს სამსახური სიერო განათლების სამინისტროს სხვა-და-სხვა სასწავლებლებშიაც გარდაეხადოთ; 2, იმის შესახებ, რომ საეკკლესიო სამრეწლო სასწავლებლების მასწავლებელ ქალებს უფლება მიეცეთ პენსიისა და ერთ დროებითის შემწეობის მიღებისა განსაკუთრებულ საპენსიო თანხიდგან.

**სიმბირსკი.** სიზრანო ვიაზემსკის რკინის გზის სადგურ „რეპიევკაზედ“ მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. ორთქლ-მავალი ლუკმა-ლუკმად არის ქცეული. მემაშინე მოკლულია, კონდუქტორი დაშავებული. ხალხის კაგონები უვნებლად გადარჩა.

## განცხადებანი

1893 წ. 8 ივნისის, სატრაქტირო დებულების მე-34 §-ის თანახმად გამგეობა სთხოვს მობძანდნენ გამგეობის სადგურში: სასტუმროებისა (гостиница) და ბუფეტების პატრონნი ამა წლის 27 თებერვალს, ხუთშაბათს; რესტორანებისას და კოფე-რესტორანებისას 1 მარტს, შაბათს; სალუდხანებისა, სარდაფებისა, სადაც საჭმელებსაც ჰყიდიან და სასტუმრო ოთახებისა, სადაც სამზარეულოცა აქვთ გამართული —3 მარტს, ორშაბათს, დილის 10 საათზედ, რათა ქალაქის სასარგებლოდ დაწესებული სატრაქტირო გარდასახადი ამა 1897 წლის ერთმანეთ შორის გაიწერონ. ხოლო ტრაქტირებისა, სასმელების დუქნებისა, ყავა-ხანებისა, საჩაიებისა თუ ცხელს საჭმელსაც ჰყიდიან, საკანდიტერო ებისა, ადგილობრივ საჭმელ პეროჟნებისა, სანოვაგეთა დუქნებისა და ბაკების პატრონთ, ქალაქის გამგეობა იმავე სატრაქტირო დებულების მე-33 §-ის თანახმად, სთხოვს მობრძანდნენ ამა გამგეობის სადგომში: 1) ტრაქტირების პატრონებს ამა წლის 17 თებერვალს, ორშაბათს; 2) სასმელების დუქნების პატრონებს—ამა წლის 18 თებერვალს, სამშაბათს; 3) ყავა-ხანებისა, საჩაიებისა, თუ ცხელს საჭმელებსაცა ჰყიდიან, საკანდიტეროებისა და ადგილობრივ საჭმელ პიროჟნების დუქნების პატრონთ—ამა წლის 19 თებერვალს, ოთხშაბათს; 4) სანოვაგეთა დუქნების პატრონებს—ამა წლის 20 თებერვალს, ხუთშაბათს და 5) ბაკების პატრონებს—ამავე წლის 25 თებერვალს, სამშაბათს, დილის 10 საათზედ, სატრაქტირო გარდასახადის გამნაწილებელ წევრთა ამოსარჩევად.

(3—6—1


ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1897 г. НА ТРИ ИЗДАНЯ:

I

„НОВОСТИ ДНЯ“

ГОДЪ ИЗДАНІЯ XV-Й

ежедневная газета

съ портретами государственныхъ и общественныхъ дѣятелей.

Подписная цѣна въ Москвѣ и на города: съ доставкою на годъ—8 р., на шесть мѣсяцевъ—5 р. 50 к., на три мѣсяца—3 руб., на одинъ мѣсяцъ—1 руб.

II

„НОВОСТИ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“.

Выходятъ ежемѣсячными книжками и даютъ въ русскомъ переводѣ лучшія произведенія иностранныхъ писателей: французкихъ, немецкихъ, англійскихъ, итальянскихъ, шведскихъ и проч.

Подписная цѣна на годъ 3 р. Вмѣстѣ съ еженедѣльнымъ литературнымъ приложеніемъ „СЕМЯ“ на годъ 4 рубля.

III

Еженедѣльное иллюстрированное литетатурное приложеніе

„СЕМЬЯ“

**Выходитъ по слѣдуюшей программѣ:** изящная литература (романы, повѣсти, разсказы, очерки, стихотворенія, драматическ. произведенія—оригинальныя и переводныя); научныя обозрѣнія, литературная, театральная, музыкальная и художественная критика; историческіе очерки и путешествія; біографіи; спортъ всѣхъ видовъ; изобрѣтенія, хозяйственныя свѣдѣнія, моды, смѣсь; задачи, шарады, ребусы, музыкальныя ноты; почтовый ящикъ; иллюстраціи ко всѣмъ отдѣламъ, портреты выдающихся дѣятелей, рисунки, объясненія къ рисункамъ, виньетки и преміи.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА 2 Р. ВЪ ГОДЪ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ВСѢ ТРИ ИЗДАНІЯ

12 РУБ.

За эту сумму подписчикъ, слѣдовательно, получаетъ: 1) годовой экземпляръ газеты „НОВОСТИ ДНЯ“; 2) ежемѣсячный журнал „НОВОСТИ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“; 3) еженедѣльное иллюстрированное приложеніе „СЕМЬЯ“.

„Новости Дня“ и „Новости Иностранной литературы“ въ годъ—11 р. „Новости Дня“ и „Семя“—10 р.

АДРЕСЪ: москва, „новости дня“.

Въ главной конторѣ газеты „НОВОСТИ ДНЯ“ продается **АЛЬБОМЪ**

„коронаціонныя торжества“

(изданіе „новостей дня“ и „семья“).

албомъ отпечатанъ на хорошей бумагѣ и заключенъ въ изящную обложку, украшенную акварельнымъ рисункомъ Л. О. Пастернака. Текстъ альбома заключаетъ въ себѣ историческую часть и подробное описаніе коронаціонныхъ торжествъ въ маѣ 1896 г. Въ альбомѣ помѣщено 90 рисунковъ и 100 портретовъ и группъ.

Цѣна альбому 2 руб., съ пересылкой 2 руб. 50 коп.


Дозволено цензурою, Тифлисъ 14 го Февраля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.